საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №23
2014 წლის 31 მარტი

ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებით (სსმ III, 04.08.2010 წ., №96, მუხ.1421) დამტკიცებულ წესდებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. ყოველი სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ კადეტებისათვის ლიცეუმის სასწავლო გეგმის შესაბამისად ჩატარდება პრაქტიკული და საველე მეცადინეობები “.

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს ,, 5 [1]” პუნქტი შემდეგი რედაქციით:

,, 5[1]. ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე კადეტები ლიცეუმის სასწავლო გეგმის შესაბამისად გაივლიან საადაპტაციო პერიოდს.”

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ალასანია**